როცა დაცვაში ქაოსია...

ლენინგრადი. ს. ვ. კიროვის სახელობის სტადიონი. 10 ოქტომბერი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) _ “დინამო” (თბილისი) _ 5:0 (1:0).

“ზენიტი”: პრონინი, დერემოვი, ლოხოვი, სადირინი, ზაგუმენიხი, ვიუნი, ფოკინი, ტრემბაჩი, ზინცენკო, ხრომჩენკოვი (ნიკოლაევი), კოხი (ივანოვი).

“დინამო”: გოგია, გოგიჯანაშვილი (ლ. ნოდია), ჭელიძე, ებრალიძე, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

მსაჯი: პ. კაატი (ტალინი).

დუბლიორები _ 4:1 “ზენიტის”: სასარგებლოდ.

გეკითხათ მატჩის წინ ვისთვისაც გნებავთ, გამოცდილი სპეციალისტი იქნებოდა ეს, თუ ჯერ კიდევ სრულიად უცოდინარი მაყურებელი, ასეთ ანგარიშს ვერ წარმოიდგენდა ვერავინ. “ზენიტმა” დაამარცხა თბილისის “დინამო” _ 5:0... გაუგონარი ამბავია! მოველოდით, რომ ლენინგრადელები შინ მინსკის “დინამოსთან” დამარცხების შემდეგ ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა ერთდროულად სატურნირო მდგომარეობაც გამოესწორებინათ და თავიანთ გულშემატკივართა წინაშე რეაბილიტაციაც მოეხდინათ, მაგრამ ასეთ ფორმებში?...

გასაკვირი ისაა, რომ პირველ ტაიმში, როცა “ზენიტი” საერთო ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდა და ხშირად უტევდა მოწინააღმდეგის კარს, გუნდმა მხოლოდ მინიმალურ უპირატესობას მიაღწია და ისიც მხოლოდ 11-მეტრიანის წყალობით, რომელიც მსაჯმა დანიშნა ხრომჩენკოვის ხელით დაჭერისთვის. სადირინმა, როგორც ყოველთვის, ზუსტად დაარტყა პენალტი _ 1:0.

საოცრებანი მეორე ტაიმში მოხდა. საოცრებას ვამბობთ იმიტომ, რომ დინამოელებმა თითქოს სრული გარდატეხა შეიტანეს თამაშში, 15 წუთის განმავლობაში არ მოსცილებიან მეტოქის კარს, ზენიტელებს გაძლიერებული ძალებით მოუხდათ თავის დაცვა, მაგრამ როცა ვიხსენებთ თბილისის “დინამოს” მცველთა თამაშს, გასაოცარი აღარაფერი გვრჩება, ვინაიდან საკმარისი იყო მცირე, შორეული კონტრშეტევის წამოწყება და თბილისელთა დაცვა მასპინძელთა 2-3 მოთამაშის წინაშე აბსოლუტურად დეზორგანიზებული, აბნეული და უსუსური, ნამდვილად უმწეო ჩანდა. ასეთივე იყო მეკარე გოგიაც. ჩვენ არ ვლაპარაკობთ ტაქტიკურ შეცდომებზე, რომელიც შეიძლება მოუვიდეს მცველს. უბრალოდ, “დინამოს” საჯარიმო მოედანზე თავისუფლად შეიძლებოდა როგორიც გნებავთ კომბინაციის ჩატარება, თავისუფალი პოზიციიდან კარში დარტყმა. ხელის შემშლელი არავინ იყო.

მდგომარეობის ხსნის იმედი ჯერ კიდევ იყო მეორე გოლის შემდეგაც, რომელიც ტრემბაჩმა ადვილად გაიტანა 62-ე წუთზე, ვინაიდან თბილისელები განაგრძობდნენ იერიშებს (პრონინს ორი ძნელი ბურთის აღება მოუხდა), მაგრამ როცა 74-ე წუთზე სტუმრების დაცვა კვლავ დაიბნა სრულიად ელემენტარულ ვითარებაში და საშუალება მისცა ზიმჩენკოს კიდევ ერთი ბურთი გაეტანა, მატჩის ბედი ეჭვს აღარ იწვევდა.

მაგრამ ანგარიშიც არის და ანგარიშიც. დინამოელთა თამაშში შეცდომა შეცდომას მოსდევდა, მოთამაშეთა შორის მთლიანად დაიკარგა ურთიერთგაგება, “ზენიტმა” კი არ დააყოვნა პირველ წრეში მოკრძალებული ანგარიშით წაგებული მატჩისთვის აეღო ხუთმაგი რევანში: ნიკოლაევმა და ზინჩენკომ კიდევ ორჯერ აიღეს გოგიას კარი.

5 ბურთი წლეულს ლენინგრადელებს არც ერთ მატჩში არ გაუტანიათ.

ვ. კოლესნიკოვი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
“ლელო”, 11 ოქტომბერი, 1972 წ.